საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს „თ. ჯ. პ. X"

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №063/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. ი.-ს მიმართ /სიითი №/ სპეციალიზაცია სამოქალაქო სამართალი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ი.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 10 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შპს „თ. ჯ. პ. X"-მა და მოითხოვა ადვოკატ ზ. ი.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა ლ. ზ.-მ და დ. გ.-მ 2018 წლის 26 ივნისს წარმოადგინეს ზეპირი ახსნა-განმარტებები. 2019 წლის 31 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადებულა საჩივრის ავტორის წარმომადგენლები. 2019 წლის 06 თებერვალს შპს „თ. ჯ. პ. X"-ის სახელით ე. ხ.-ს მიერ წარმოდგენილი წერილობითი განმარტების მიხედვით, კომპანია გამოხატავს ინტერესს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრის განხილვის მიმართ, თუმცა განხილვის კოლეგიის სხდომაზე „კომპანიას ვერ წარმოადგენდნენ იურისტი ან კომპანიის ოფიციალური წარმომადგენლები".

1.2 საჩივრის მიხედვით, ადვოკატი ზ. ი. 2013 წლიდან 2017 წლის სექტემბრამდე პერიოდულ იურიდიულ მომსახურებას უწევდა შპს „თ. ჯ. პ. X“-ს, რაშიც მოიაზრებოდა ხელშეკრულებების გადახედვა, ასევე კომპანიის გარკვეულ სასამართლო დავებზე წარმომადგენლობა. ადვოკატი ზ. ი. ფლობდა მნიშვნელოვან ინფორმაციას კომპანიასთან დაკავშირებით.

1.3 2017 წლის ოქტომბრის თვეში კომპანიამ უარი თქვა ადვოკატ ზ. ი.-სთან დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე, იმდენად რამდენადაც აღარ ჰქონდა მისთვის საქმეები, რის შემდგომაც მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყდა.

1.4 2018 წლის აპრილის თვეში „თ. ჯ. პ. X“-ის ყოფილმა თანამშრომელმა - ქ. ე.-მ ამავე კომპანიის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში. აღნიშნულ დავაში ქეეთევან ესაძის ინტერესების დამცველი არის ადვოკატი ზ. ი., რომელმაც როგორც წარმომადგენელმა 2018 წლის 18 აპრილს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით.

1.5 საჩივრის მიხედვით, როდესაც ადვოკატი ზ. ი. იყო შპს „თ. ჯ. პ. X“-ში დასაქმებული, ის ზემოაღნიშნულ მსგავს დავაში, რაც გამომდინარეობდა შრომითი ურთიერთობიდან, წარმოადგენდა აღნიშნული კომპანიის ინტერესებს.

1.6 ადვოკატი ზ. ი. 2017 წლამდე ეცნობოდა „თ. ჯ. პ. X“-ის მასალებს კომპანიის სასარგებლო პოზიციების გასამყარებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში, ანალოგიური ტიპის დავაში, როგორც ქ. ე.-ს წარმომადგენელი ახორციელებს საადვოკატო მომსახურებას კომპანიის წინააღმდეგ.

1.7 საჩივრის მიხედვით, ადვოკატი ზ. ი., როგორც ქ. ე.-ს წარმომადგენელი სარჩელში ერთ-ერთ ფაქტობრივ გარემოებაში უთითებს, რომ შპს „თ. ჯ. პ. X“-ის მხრიდან არსებობს „დასაქმებულის მხრიდან ისეთი დამოკიდებულება, როგორიცაა სამსახურიდან ყველანაირი საფუძვლის, კომპენსაციის გადახდის გარეშე გათავისუფლება, ორსული ქალის გათავისუფლება, ყველანაირი დასაბუთების გარეშე თანამდებობრივი დაქვეითება და ა.შ.“, რის დასადასტურებლადაც ზ. ი. უთითებს, რომ „თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში შეტანილია არაერთი სამოქალაქო სარჩელი აღნიშნული კომპანიის თანამშრომლების მხრიდან მათი დარღვეული შრომითი უფლებების დაცვის მიზნით“. ადვოკატ ზ. ი.-ს სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილი აქვს რამდენიმე დავა კომპანიის წინააღმდეგ, ის აპელირებს მიმდინარე დავებზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს „თ. ჯ. პ. X“-ის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

1.8 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატ ზ. ი.-ს სასამართლოში წარდგენილი აქვს სასამართლო განჩინება, რაც მხოლოდ „თ. ჯ. პ. X“-ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის შედეგად იქნებოდა ხელმისაწვდომი.

1.9 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატი ზ. ი. ბოროტად იყენებს იმ ინფორმაციას, რაც მისთვის კომპანიასთან თანამშრომლობის დროს გახდა ცნობილი და იგი ყველანაირი გზით ცდილობს კომპანიის დისკრედიტაციას. ადვოკატ ზ. ი.-ს თავადაც აქვს სარჩელი შეტანილი „თ. ჯ. პ. X“-ის წინააღმდეგ და ის ითხოვს სამსახურში აღდგენას შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, სადაც ასევე მითითებული აქვს მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილებები, რაც ქ. ე.-ს სარჩელშია აღნიშნული. საჩივრის ავტორის

წარმომადგენლის ლ. ზ.-ის განცხადებით, ადვოკატმა ზ. ი.-მ, როგორც ქ. ე.-ს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მოწმეთა დაკითხვის პროცედურაში, რომლებსაც იცნობს ზ. ი. და შესაძლოა, გამოიყენოს კომპანიის საწინააღმდეგოდ ეს ყველაფერი.

1.10 კომპანია „თ. ჯ. პ. X“ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ფლობს მიწის ნაკვეთებს და ჰყავს ბევრი თანამშრომელი, შესაბამისად, აქვს შრომითი დავებიც. ადვოკატმა ზ. ი.-მ სარჩელში კომპანიის წინააღმდეგ მიუთითა კონკრეტული საქმეები, რომლის თაობაზეც ინფორმაციას ვერ მოიპოვებდა, თუ ის არ იქნებოდა კომპანიის თანამშრომელი. სარჩივრის ავტორის წარმომადგენლის ლ. ზ.-ის განცხადებით, ადვოკატი ზ. ი. უთითებს, რომ მას ქ. ე.-ს წარმომადგენლობის განხორციელებისთვის ჰონორარი არ მიუღია, რაც საპატიო მიზეზი არ არის - მიეყენებინა კომპანიისათვის ზიანი.

1.11 საჩივრის ავტორთან წარმომადგენელბის განცხადებით, ადვოკატს ზ. ი.-ს ქ. ე.-სგანაც რომ მიეღო ინფორმაცია კომპანიის მიმდინარე დავების თაობაზე, მას მაინც არ უნდა გამოეყენებინა ის კომპანიის წინააღმდეგ და არ უნდა განეხორციელებინა საადვოკატო მომსახურება. ადვოკატი ზ. ი. ითხოვს აღადგინონ თავის პოზიციაზე კომპანიაში და ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის წინააღმდეგ ყოფილი თანამშრომლის ინტერესებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 01 ივნისს ეთიკის კომისიაში ადვოკატმა ზ. ი.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, 2018 წლის 03 ივლისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და 2019 წლის 06 თებერვალს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტებები.

2.2 ადვოკატი ზ. ი. 2013 წლიდან 2017 წლის სექტემბრის ჩათვლით შპს „თ. ჯ. პ. X“-ს, როგორც ადვოკატი უწევდა იურიდიულ მომსახურებას. „თ. ჯ. პ. X“-ის დირექტორს თანამშრომლებთან არ ჰქონდა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და მათ შორის, არც ადვოკატ ზ. ი.-სთან, რომელსაც მხოლოდ ზეპირი შეთანხმების შესაბამისად, უწევდა კომპანიას კონკრეტულ საქმეზე იურიდიულ მომსახურებას, რისთვისაც მას ყოველთვიურად ერიცხებოდა ხელფასი. შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელი თვლიდა, რომ ის არ იყო კომპანიის თანამშრომელი.

2.3 კომპანიის დირექტორის - ტ. რ.-ის მითითების შესაბამისად, ადვოკატ ზ. ი.-ს ევალებოდა შპს „ფ. ი. ჯ-სთან“ დაკავშირებულ საკითხებზე კომპანიისთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა და მისი ინტერესების წარმოდგენა სასამართლო პროცესებზე. მათ შორის, ევალებოდა კომპანიის მიერ გაფორმებული სხვადასხვა ქირავნობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ანალიზი. ადვოკატს საკითხები და საქმის მასალები, რაზეც მას კონკრეტულად უნდა ემუშავა ეგზავნებოდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მის სახელზე გაიცემოდა მინდობილობა კონკრეტულ სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღებისთვის.

2.4 ადვოკატ ზ. ი.-ს განმარტებით, ის კომპანიის ოფისში არ მუშაობდა და მას მხოლოდ წინასწარი შეთანხმებით, შეეძლო ოფისში მისვლა და დირექტორთან შეხვედრა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, ადვოკატი ზ. ი. არ იცნობდა კომპანიის თანამშრომლებს, მისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მითუმეტეს რაიმე სახის კონფიდენციალური ინფორმაცია. ადვოკატ ზ. ი.-ს შემხებლობა არ

ჰქონდა შრომითსამართლებრივ დავებთან, რაზეც საადვოკატო მომსახურებას შპს „თ. ჯ. პ. X“-ს ერთ-ერთი იურიდიული კომპანია უწევდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2014 წელს მან განახორციელა შპს „თ. ჯ. პ. X“-ს წარმომადგენლობა შრომით დავაზე მ. მ.-ს წინააღმდეგ, თუმცა მოპასუხე იყო არა შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში კომპანიასთან, არამედ იგი კომპანიის მიერ იყო დაქირავებული კონკრეტული სამუშაოს შესრულების მიზნით, როგორც ტრაქტორისტი. აღნიშნულ საქმეზე, მის მიერ არ იყო შედეგნილი შესაგებელი და მან მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა მთავარ სხდომაზე, სადაც არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება და მისი შუამდგომლობის საფუძველზე, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან, ის კარგად არ ფლობდა ინგლისურ ენას, კომპანიის დირექტორთან შეხვედრებს ყოველთვის ესწრებოდა დირექტორის თანაშემწე - ქ. ე., როგორც თარჯიმანი. აგრეთვე, ადვოკატს კომუნიკაცია ჰქონდა ს. ნ.-სთან, როგორც კომპანიის ბუღალტერთან.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მას არ შეუდგენია ქ. ე.-ს შრომით დავასთან დაკავშირებული სარჩელი შპს „თ. ჯ. პ. X“-ის წინააღმდეგ, არამედ აღნიშნულ საქმეზე სარჩელი შედგენილია და მტკიცებულებები დართულია ადვოკატ მ. გ.-ის მიერ, რომელიც ქ. ე.-ს უწევდა მოცემულ საქმეზე საადვოკატო მომსახურებას, თუმცა ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე ის ვერ ხერხებდა გამოცხადებას, რის გამოც დაუკავშირდა ადვოკატ ზ. ი.-ს და სთხოვა მის ნაცვლად, წარმოედგინა ქ. ე.-ს ინტერესები ერთ სასამართლო სხდომაზე.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ის ქ. ე.-ს საქმეში ანაზღაურების გარეშე ჩაერთო, როგორც ფიზიკური პირი და შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა. ადვოკატი ზ. ი.-მ ქ. ე.-ს ინტერესები წარმოადგინა მხოლოდ ერთხელ 2018 წლის აპრილის თვეში მოსამზადებელ სხდომაზე, რა დროსაც გამოიკითხა მოწმე და გადაიდო სხდომა. ადვოკატის განმარტებით, ქ. ე.-ს სარჩელში მითითებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს „თ. ჯ. პ. X“-ს ჰქონდა შრომითი დავები სასამართლოში -მითითებული იყო ადვოკატ მ. გ.-ის მიერ.

2.9 ადვოკატის განცხადებით, მართალია, მან სარჩელით მიმართა „თ. ჯ. პ. X“-ის წინააღმდეგ სასამართლოს სამსახურში აღდგენის თაობაზე, თუმცა შემდგომ, სარჩელი გამოიხმო, რადგანაც კლასიკური შრომითსამართლებრივი ურთიერთობა კომპანიასა და მას შორის არ არსებობდა.

3. მოწმე ქ. ე.-ს ახსნა-განმარტება:

3.1 2019 წლის 21 თებერვალს განხილვის კოლეგიის სხდომაზე - ქ. ე.-მ მოწმის სახით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, მან ადვოკატი ზ. ი. გაიცნო შპს „თ. ჯ. პ. X“-ში მუშაობის პერიოდში. ქ. ე. მუშაობდა კომპანიის დირექტორის ტ. რ.-ის თანაშემწედ და ის ფლობდა ინფორმაციას კომპანიის საქმეებთან დაკავშირებით.

3.2 მოწმის განცხადებით, ადვოკატი ზ. ი. ოფისში მხოლოდ კომპანიის დირექტორთან შეხვედრის მიზნით ცხადდებოდა მცირე დროის მონაკვეთით. ქ. ე.-ს განმარტებით, როგორც მას ახსოვს, ზ. ი.-სა და კომპანიის დირექტორის ყველა შეხვედრას ის ესწრებოდა, როგორც თარჯიმანი,

რომელთა შორის საუბრის თემა შეეხებოდა ძირითადად კომპანია „ფ.-ს“ საქმეზე განსახორციელებელ მოქმედებებს. ადვოკატ ზ. ი.-ს ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ უწევდა მისვლა კომპანიის ოფისში.

3.3 მოწმის განმარტებით, როდესაც ის „თ. ჯ. პ. X“-ის დირექტორმა მოულოდნელად, გაფრთხილების გარეშე, სამსახურიდან გაათავისუფლა, გადაწყვიტა კომპანიის წინააღმდეგ მიემართა სარჩელით სასამართლოსთვის. აღნიშნულ საქმეზე ქ. ე.-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა ადვოკატი მ. გ..

3.4 მოწმის განმარტებით, მის საქმესთან დაკავშირებით, როგორც მხარე ყველა სხდომას ესწრებოდა ადვოკატთან ერთად. მოსამზადებელი სხდომის გამართვამდე, ქ. ე.-ს დაუკავშირდა ადვოკატი მ. გ. და აცნობა, რომ ის ვერ შეძლებდა მის წარმომადგენლობას პროცესზე და მისი გამოუცხადებლობით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოცხადების რისკი იყო, ამიტომ თუ ის წინააღმდეგი არ იქნებოდა, „მას პროცესზე გაყვებოდა“ ადვოკატი ზ. ი.. ქ. ე.-მ ადვოკატ მ. გ.-ს უთხრა, რომ თუ ის ენდობოდა ადვოკატ ზ. ი.-ს, პრობლემა არ იქნებოდა წარმოედგინა მისი ინტერესები სასამართლო სხდომაზე. ადვოკატ მ. გ.-ს მისთვის არ განუმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მხარე გამოცხადდებოდა პროცესზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ მიიღებოდა. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა მ. გ.-მ, პროფესიონალიზმის გათვალისწინებით ანდო საქმე ადვოკატ ზ. ი.-ს.

3.5 ამის შემდგომ, ქ. ე.-ს დაუკავშირდა ადვოკატი ზ. ი. და უთხრა, რომ ის წარმოადგენდა მის ინტერესებს, როგორც ფიზიკური პირი სასამართლო სხდომაზე და არა როგორც ადვოკატი. მოწმის განმარტებით, ადვოკატი ზ. ი. აღარ მუშაობდა „თ. ჯ. პ. X“-ში, როდესაც ის წარმოადგენდა მის ინტერესებს სასამართლოში .

3.6 ქ. ე.-ს განცხადებით, ადვოკატ ზ. ი.-სთვის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის შრომით-სამართლებრივი სახის - ხელმისაწვდომი არ იყო. კომპანიაში არ არსებობდა არც შინაგანაწესი, ყველა თანამშრომელი ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მუშაობდა.

3.7 მოწმის განცხადებით, კომპანიაში მუშაობის დრო, ადვოკატ ზ. ი.-ს სურდა ხელფასის ცნობა, თუმცა დირექტორმა, უარი განაცხადა ცნობის გაცემაზე და აღნიშნა, რომ ზ. ი. კომპანიის თანამშრომელი არ იყო და ის მუშაობდა მხოლოდ „ფ.-ს საქმეზე“.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1. 2018 წლის 24 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. ი.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან, ადვოკატი ზ. ი. საადვოკატო მომსახურებას უწევდა შპს „თ. ჯ. პ. X“-ს და შემდგომ, წარმოადგენდა ამავე კომპანიის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს შრომით დავაში, შესაძლოა, სახეზე ყოფილიყო ინტერესთა კონფლიქტი ან ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.

4.3. საპორცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატ ზ. ი.-ს სავარაუდოდ, ჰქონდა შესაძლებლობა წვდომა ჰქონოდა „თ. ჯ. პ. X“-ის საქმეებთან და სავარაუდოდ, ის ფლობდა კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნების საფრთხეც არსებობს სამომავლოდ ქ. ე.-ს, როგორც ამავე კომპანიის ყოფილი თანამშრომლის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების შემთხვევაში.

4.4. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ზ. ი.-ს ქმედებაში აღმოაჩინა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ პუნქტის, 8.1-ისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1-ისა და 6.1-ის შესაძლო დარღვევის ნიშნები და მიიჩნია, რომ ადვოკატ ზ. ი.-ს მიმართ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

5.1.1 ადვოკატი ზ. ი. 2013 წლიდან 2017 წლის სექტემბრამდე, როგორც საადვოკატომომსახურებას უწევდა შპს „თ. ჯ. პ. X“-ს („კომპანია“).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. მოწმე ქ. ე.-ს ახსნა-განმარტება;

5.1.2 ადვოკატი უწევდა საადვოკატო მომსახურებას ფ. ჯ.-სთან დაკავშირებულ საქმეებზე, ასევე უწევდა კონსულტაციებს ქირავნების ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკითხებზე, თუმცა ერთ შემთხვევაში ადვოკატმა დაიცვა კომპანიის ინტერესები კომპანიაში ტრაქტორისტად დაქირავებულ პირთან - მ. მ.-სთან დავაში პარაგრაფი 2.3. და 2.5 , 2018 წლის 19 აპრილს ადვოკატმა ზ. ი.-მ, როგორც ქ. ე.-ს წარმომადგენელმა დაზუსტებული სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „თ. ჯ. პ. X“-ის წინააღმდეგ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. 2018 წლის 19 აპრილის დაზუსტებული სარჩელი.

5.2 საქმეში სადავო გარემოებაა, თუ რას მოიცავდა ადვოკატ ზ. ი.-ს მიერ შპს „თ. ჯ. პ. X“-ისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურება და შესაბამისად, ადვოკატ ზ. ი.-ს წვდომა ჰქონდა თუ არა კომპანიის არსებულ საქმეებზე, რადგან მხარეებმა ამასთან დაკავშირებით, განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს:

საჩივრის მიხედვით, ადვოკატი ზ. ი. პერიოდულ იურიდიულ მომსახურებას უწევდა შპს „თ. ჯ. პ. X“-ს, რაც მოიცავდა კომპანიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების რევიზიას, ასევე, კომპანიის გარკვეულ სასამართლო დავებზე წარმომადგენლობას, რის საფუძველზეც, ადვოკატ ზ. ი. ფლობდა ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ და მიმდინარე დავებზე.

ადვოკატის განმარტებით, ის შპს „თ. ჯ. პ. X“-ს იურიდიულ მომსახურებას უწევდა მხოლოდ „ფ. ი. ჯ-ს“ მიმართ არსებულ დავებზე და ამის თაობაზე კომპანიის დირექტორმაც გაუგზავნა ელექტრონული შეტყობინება, რომ ის მხოლოდ „ფ.-ს“ საქმისთვის „მუშაობდა“, ის კომპანიის თანამშრომლებსაც არ იცნობდა და შესაბამისად, წვდომა ვერ ენქებოდა კომპანიის მიმდინარე საქმეებზე, თუმცა ამავდროულად, ადვოკატი იმასაც განმარტავს, რომ კომპანიის დირექტორის დავალებით, კომპანიის მიერ გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებები შეამოწმა და ერთ სასამართლო დავასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთ სხდომაში მიიღო მონაწილეობა კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ, თუმცა, ის არსებითად არ ჩართულა საქმის განხილვის პროცესში, არც რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი შეუდგენია ამ საქმესთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებების შეფასების შედეგად, მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. ი.-ს მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ იყო შეზღუდული მხოლოდ „ფ. ი. ჯ-ს“ საქმით, არამედ, ადვოკატი სხვა საქმეზეც უწევდა კომპანიას იურიდიულ მომსახურებას, მათ შორის ეს ეხებოდა კომპანიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების სამართლებრივ ანალიზს, რის თაობაზეც ადვოკატ ზ. ი.-ს ინფორმაციას აწვდიდა კომპანიის თანამშრომლები, რაც დასტურდება ადვოკატ ზ. ი.-სადმი კომპანიის სახელით, თანამშრომლების მიერ გაგზავნილი ელექტრონული გზავნილებით. ამასთან, ადვოკატი ზ. ი. 2014 წლის 16 მაისს წარმოადგენდა „თ. ჯ. პ. X“-ის, როგორც მოპასუხე მხარის ინტერესებს, რა დროსაც, მან იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, სასამართლოს მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. ი. იურიდიულ მომსახურებას უწევდა კომპანია „თ. ჯ. პ. X“-ს არამხოლოდ ერთ საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის, სხვადასხვა საკითხებზე საადვოკატო მომსახურების გაწევის მიზნით, დავალებებს იღებდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რის თაობაზეც მას ინფორმაციას აწვდიდნენ კომპანიის თანამშრომლები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2013 წლის 18 აპრილს ადვოკატ ზ. ი.-ს სახელზე გაფორმებული რწმუნებულება დირექტორის - ტ. რ.-ის მიერ, „2013 წლის 18 აპრილს - სიღნაღის რაიონულ სასამართლოში კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობისაგან გამოთხოვის და ხელშეშლის აღკვეთის შესახებ სამოქალაქო სარჩელის განხილვასთან დაკავშირებულ დავაში“ (ს.ფ.81)

2. 2014 წლის 16 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (მოსარჩე;ე: მ. მ., მოპასუხე: „თ. ჯ. პ. X“ - წარმომადგენელი - ადვოკატი ზ. ი.“. (ს.ფ.95)

3. 2014 წლის 14 ივნისს „თ. ჯ. პ. X“-ის სახელით, თ. ს.-ის ელექტრონული გზავნილი ადვოკატ ზ. ი.-ს: „გიგზავნი ხელშეკრულებას შესამოწმებლად, რომელიც სასწრაფოდ გვჭირდება, გთხოვ, უფრო გაამარტივო მოცულობით უფრო პატარა რომ იყოს..“ (ს.ფ.64)

4. 2016 წლის 28 ივლისის მეილი „თ. ჯ. პ. X“-ის სახელით ს. ნ.-სგან: „ხელშეკურლება გვინდა რა კომბაინის ქირაობაზე, სადაც საწვავს უზრუნველვყობთ ჩვენ, ფასი ღია დატოვე და მე ჩავწერ ერთეულის ფასს ჰექტარზე...“

5. 2017 წლის 11 აპრილის ელექტრონული გზავნილი „თ. ჯ. პ. X“-ის სახელით გზავნილი ადვოკატ ზ. ი.-ს: „...ხელშეკრულებაში არის დამატება და პროსტა გადახედე“ (ს.ფ.67).

6. 2017 წლის 29 მაისის ელექტრონული გზავნილი „თ. ჯ. პ. X“-ის სახელით ადვოკატ ზ. ი.-ს: „გამარჯობა ზ., გთხოვ იხილო თანდართული კონტრაქტის დრაფტი და დამატება გადასახედად, საჩქაროა.“ (ს.ფ.71)

7. 2017 წლის 12 აპრილის ელექტრონული გზავნილი „თ. ჯ. პ. X“-ის სახელით ადვოკატ ზ. ი.-ს: „გარანტიის მუხლში ტაიებს უნდა დარწმუნებული იყოს რომ გარანტია მოიცავს: რეგულირებას (თუ დაზიანდა ჩამოთვლილი ნაწილების გამართულობა), მექანიკურ, ძრავის, გადაცემთა კოლოფის, კომპიუტერის პრობლემებს“. (ს.ფ.104).

6 შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. ი.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7 სამართლებრივი შეფასება

7.1 ადვოკატი ზ. ი. იურიდიულ მომსახურებას უწევდა კომპანია „თ. ჯ. პ. X“-ს და შემდგომ, წარმოადგინა ამავე კომპანიის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს შრომით დავაში, რა დროსაც ადვოკატმა დაარღვია შემდეგი ნორმები:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.2-ის „ა“ პუნქტი: „ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე”.

7.2 ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რისი დაცვის ვალდებულება ადვოკატს იურიდიული მომსახურების გაწევისას გააჩნია, არის კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა. ყოველი ახალი კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, ადვოკატმა არ უნდა დაუშვას პროფესიული საიდუმლოება საფრთხის ქვეშ დადგეს და გამოიყენოს ის ახალი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

7.3 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის 2.3-ე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით: “ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანსასკნელი სხვა პირს

არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა".

7.4 ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური წესებით - 1.13(ა), ცალკე არის დარეგულირებული საკითხი, როდესაც ადვოკატის კლიენტი - ორგანიზაციაა და მითითებულია, რომ „ორგანიზაციის მიერ დაქირავებული იურისტი წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ". ადვოკატმა არ უნდა დაარღვიოს ერთგულების ვალდებულება კომპანიის მიმართ, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს, კერძოდ, ახალი კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, ზიანი არ უნდა მიაყენოს კომპანიას მის მიმართ არსებული პროფესიული ვალდებულებიდან გამომდინარე (მოდელური წესები - 1.7.8).

7.5 „კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის ადვოკატს ევალება პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ინფორმაციისა, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა. ადვოკატს ევალება გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც უპირველესად კლიენტისაგან უშუალოდ მიღებული ინფორმაციის, კლიენტის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვს" (,,ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ").

7.6 "ადვოკატმა, რომელმაც კლიენტის საადვოკატო მომსახურებისას, წარმოადგინა სხვა კლიენტი, რომლის პოზიცია ყოფილი კლიენტისგან განსხვავებით არსებითად საწინააღმდეგოა იმავე ან დაკავშირებულ საქმეში, აშკარად არის აკრძალული... ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ უნდა წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი ყოფილი და ამჟამად არსებულ კლიენტის ინტერესებს შორის. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება დაკავშრებულია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან. ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს, ამასთან ადვოკატმა უნდა აიცილოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლო საფრთხის შექმნა (იხ.ეთიკის კომისიის 2015 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #023/15).

7.7 ზ. ი., როგორც ადვოკატი 2013 წლიდან 2017 წლამდე საადვოკატო მომსახურებას უწევდა შპს „თ. ჯ. პ. X"-ს (იხ.პუნქტი:5.2). ადვოკატ ზ. ი.-სა და კომპანიას შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ადვოკატს გააჩნდა პროფესიული პასუხისმგებლობა ყველა იმ საქმის მიმართ, რასაც კომპანიაში მუშაობის დროს აწარმოებდა. შპს-სთვის სხადასხვა საკითხებზე საადვოკატო მომსახურების გაწევის შედეგად, ადვოკატი ფლობდა კომპანიის საქმეებზე ინფორმაციას, რაც წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას. კერძოდ, ადვოკატი კომპანიასთან თანამშრომლობის პერიოდში, სხვადასხვა საქმეზე გასცემდა იურიდიულ კონსულტაციას, წარმოადგენდა კომპანიის ინტერესებს სასამართლოში (იხ.პუნქტი: 5.2.), მათ შორის კომპანიის ინტერესები წარმოადგინა 2014 წლის 16 მაისს შრომით დავაზე (იხ.პუნქტი:5.2.2.)

7.8 ადვოკატ ზ. ი.-სა და „თ. ჯ. პ. X"-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა 2017 წელს, რის შემდგომაც, ადვოკატი ვალდებული იყო კომპანიის, როგორც მისი ყოფილი კლიენტის საქმეებიდან მიღებული ინფორმაცია არ გაემჟღავნებინა. ადვოკატმა კომპანიასთან თანამშრომლობის შეწყვეტის შემდგომ, 2018 წელს, შრომით დავაზე, ქ. ე.-ს სახელით,

დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი კლიენტის - „თ. ჯ. პ. X“-ის წინააღმდეგ, როგორც ამავე კომპანიის ყოფილი თანამშრომლის - ქ. ე.-ს წარმომადგენელმა და სასამართლო სხდომაზე წარმოადგინა მისი ინტერესები.

7.9 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატ ზ. ი.-ს პოზიციას იმის თაობაზე, რომ მასსა და ქ. ე.-ს შორის არ ჩამოყალიბებულა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მ. გ.-მ საქმეზე წარმომადგენლობის განსახორციელებლად გადაანდო ქ. ე.-ს საქმე ზ. ი.-ს, სწორედ მისი პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, რაც მოწმის ახსნა-განამრტებითაც დასტურდება (იხ.პუქნტი: 3.4.) ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადვოკატ ზ. ი.-ს გაცემული მინდობილობის საფუძველზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიენიჭა სასამართლოს ყველა ინსტანციაში. მოცემულ შემთხვევაში, არაადვოკატს ვერ მიენიჭებოდა აპელაციისა და კასაციის ეტაპზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რადგან აღნიშნული კანონითაა შეზღუდული.

7.10 შესაბამისად, ადვოკატის სტატუსიმქონე პირის პირველ ინსტანციაში წარმომადგენლობის განხორციელების დროს, არსებობს მყარი პრეზუმფცია იმისა, რომ პირი, რომელიც გაწევრიანებულია ადვოკატთა ასოციაციაში, საქმეში ერთვება, როგორც ადვოკატი, რადგან კლიენტებს სწორედ ეს მოლოდინი აქვთ. ხშირ შემთხვევაში, რთულია გაიმიჯნოს ადვოკატი თავისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე ერთვება პირველ ინსტანციაში წარმომადგენლად თუ არა, თუმცა ორივე შემთხვევაში, ადვოკატი არ თავისუფლდება თავისი პროფესიული ვალდებულებებისგან სხვა კლიენტების მიმართ, როგორიც არის ინტერესთა კონფლიქტის, კონფიდენციალობისა და ნდობის პრინციპის დაცვის ვალდებულებები.

7.11 ეთიკის კომისია ვერ აუკრძალავს ადვოკატს კანონისშესაბამის საქმიანობას. თუმცა ამ შემთხვევაში ადვოკატმა უნდა განუმარტოს პირს, ვინც მას მიმართა ინტერესების დასაცავად, რა შედეგი ექნება, თუ ის არ იქნება ჩართული როგორც ადვოკატი. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს კომისიის დამარწმუნებელი გარემოება ადვოკატად ჩართვის პრეზუმფციის გამოსარიცხად. კომისიამ მხედველობაში მიიღო მოწმე ქ. ე.-ს განმარტება, რომ პროფესიონალიზმის გათვალისწინებით ჩართო ადვოკატი საქმეში და მინდობილობით ადვოკატს „ყველა სასამართლო ორგანოში“ წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიენიჭა (2018 წლის 21 მარტის მინდობილობა - ს.ფ.54). გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადვოკატის მხრიდან არ ყოფილა მითითება იმის თაობაზე, რომ მან მარწმუნებელს განუმარტა, რა „უარყოფით შედეგებთან“ იქნებოდა დაკავშირებული მისი არაადვოკატის სტატუსით საქმეში ჩართვა.

7.12 აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატ ზ. ი.-ს გააჩნდა პროფესიული პასუხისმგებლობა ემოქმედა ეთიკური ვალდებულებების დაცვის ფარგლებში და შეეფასებინა, წარმომადგენლობის განხორციელებით, საფრთხე შეექმნებოდა თუ არა ყოფილი კლიენტის - კომპანიისგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

7.13 ქ. ე.-ს სახელით, ადვოკატ ზ. ი.-ს მიერ სასამართლოში წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელში მითითებულია კომპანია „თ. ჯ. პ. X“-ის, როგორც დამსაქმებლის მხრიდან ყველანაირი საფუძვლის და კომპენსაციის გადახდის გარეშე გათავისუფლების შემთხვევები, მათ შორის

ორსული ქალის გათავისუფლების თაობაზე. ადვოკატი ზ. ი. უარყოფს იმ გარემოებას, რომ მან კომპანიაში მუშაობის შედეგად მოიპოვა ინფორმაცია, რაც „თ. ჯ. პ. X“-ის შრომით დავებს უკავშირდება და განმარტავს, რომ თავად მოსარჩელე, რომელიც მუშაობდა კომპანიაში ოფის-მენეჯერის პოზიციაზე წვდომა ჰქონდა „თ. ჯ. პ. X“-ის საქმეებთან და შესაბამისად, მან მიუთითა აღნიშნული დავები თავდაპირველ სარჩელში, რომელიც 2017 წლის 30 სექტემბერს წარადგინა ქ. ე.-მ კომპანიის წინააღმდეგ.

7.14 კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატი ზ. ი. „თ. ჯ. პ. X“-ისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურების შედეგად, ფლობდა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის კომპანიის წინააღმდეგ არსებულ შრომით დავებთან დაკავშირებით და ერთ-ერთ დავაზე თავად წარმოადგენდა კომპანიის ინტერესებს (იხ.პუნქტი: 5.2.2). შესაბამისად, შემდგომში, ქ. ე.-ს, როგორც კომპანიის თანამშრომლისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას, საფრთხე შეექმნა ყოფილი კლიენტისგან მიღებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს. კერძოდ, ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა, ქ. ე.-ს, როგორც მისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა შრომით დავებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მან მიიღო კომპანიისთვის იურიდიული მომსახურების გაწევის პერიოდში, რა შემთხვევაშიც, კომპანიის, როგორც ყოფილი კლიენტის მიმართ არსებულ ვალდებულებას - კონფიდენციალობის პრინციპის დაცვას შეექმნა საფრთხე.

7.15 ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა იმ საქმეზე, რომელიც უკავშირდება მანამდე მოწინააღმდეგე მხარისთვის განხორციელებულ საადვოკატო მომსახურებას. მართალია, ადვოკატს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარმომადგენლობა არ ეკრძალება, თუმცა ასეთ შემთხვევაში, უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტისა და ადვოკატის მიმართ ნდობის დაკარგვის რისკი. ამ შემთხვევაში, ადვოკატმა არ უნდა აიღოს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმე გარკვეული ვადის განმავლობაში. აღნიშნული ვადა ვერ იქნება უსასრულო და ის უნდა განისაზღვროს შემდეგი ობიექტური ტესტის გათვალისწინებით: რამდენად ინტენსიური იყო საადვოკატო მომსახურება შესაბამის სფეროში, აქვს თუ არა ადვოკატს პირადი პრეტენზიები ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, რა ვადის შემდეგ გონივრულად აღარ არის მოსალოდნელი, რომ კლიენტს აღარ უნდა დაეკარგოს ნდობა, ადვოკატის პროფესიის მიმართ, როდესაც ადვოკატი მის წინააღმდეგ საქმეს აიღებს. ამ შემთხვევაში, მნიშვენლობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება არ არის შემოსაზღვრული დროით და თუ ადვოკატის მომსახურება უკავშირდება ამ ინფორმაციის შესაძლო გამოყენებას, ის ვერასოდეს გასწევს საადვოკატო მომსახურებას იმ საქმეზე, რომელზეც შეიძლება ასეთი ინფორმაცია იქნას გამოყენებული.

7.16 გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დაქირავებულებთან დაკავშირებული კომპანიის პოლიტიკამ შეიძლება ფასეულობა დაკარგოს წლების შემდეგ, რადგან ეს დინამიურია. წარმოებული სასამართლო პროცესებიც დამთავრდება რამდენიმე წლის შემდეგ. შესაბამისად, იმას რომ ადვოკატს ხელი მიუწვდებოდა ინფორმაციასთან კომპანიის პოლიტიკასთან დაქირავებულების მიმართ, ეს არ წარმოადგენს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატის მუდმივ დისკვალიფიკაციას იწვევს.

7.17 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ზ. ი.-მ კლიენტის მომსახურება შეწყვიტა 2017 წელს და ახალი საქმეზე საადვოკატო მომსახურება დაიწყო 2018 წელს. ეს პერიოდი არ არის ის პერიოდი, რომლის განმავლობაში დაქირავებულებთან მიმართებით არსებული პოლიტიკა, უკვე არსებული პროცესები, ადვოკატს არ მისცემდა უპირატესობას ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარმომადგენლობისას ობიექტური თვალთახედვით, მიუხედავად იმისა, ფაქტიურად გამოიყენა თუ არა ადვოკატმა ეს ინფორმაცია. ახალი წარმომადგენლობა ასევე უკავშირდება ყოფილი კლიენტის ნდობის დაკარგვას ადვოკატის პროფესიისადმი, რადგან მას აღარ ექნება იმის განცდა, რომ ადვოკატი მისგან მიღებულ ინფორმაციას სანდოდ შეინახავს. შედეგად დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი წესი, აპეკ-ის 6.2.(ა) - ყოფილი კლიენტის მიმართ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, უპირისპირდება ახალი კლიენტის საუკეთესოდ დაცვის ვალდებულებას.

7.18 განსახილველ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ არ დგინდება შემდეგი მუხლის დარღვევა:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.1.: "ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე."

7.19 ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, რადგან ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა გააჩნია, არამხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი კლიენტების მიმართაც.

7.20 ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საადვოკატო საქმიანობა იგივე დავაზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, რომელზეც უკვე ყოფილ კლიენტს გაუწია იურიდიული მომსახურება, რადგან ასეთ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება კლიენტთა ინტერესები.

7.21 განხილვის კოლეგიის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე 092/10 დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე მითითებულია: „ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა. საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, რომელთა დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა."

7.22 მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება, რომ ადვოკატმა ზ. ი.-მ განახორციელა ახალი კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობა კომპანია „თ. ჯ. პ. X“-თან დაკავშირებულ ან მსგავს საქმეზე, რითიც ერთმანეთს დაუპირისპირდა ყოფილი და არსებული კლიენტის ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა, რომ ადვოკატი იურიდიულ მომსახურებას უწევდა კომპანია „თ. ჯ. პ. X“-ს, მათ შორის შრომით დავებზე, რის შემდგომაც, კომპანიის, როგორც მისი ყოფილი კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებას საფრთხე შეექმნა ქ. ე.-ს ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებისას - თავისი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ დავისას. კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთს დაუპირისპირდა არა ყოფილი და არსებული კლიენტის საქმეები, არამედ ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებიდან გამომდინარე ერთმანეთს დაუპირისპირდა მათი ინტერესები.

7.23 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგიამ უნდა იმსჯელოს ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომაზე, რა დროსაც, უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

7.24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ: ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.”

7.25 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ასევე გასათვალისწინებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავს დარღვევებზე. ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების საფრთხეზე და მიუთითა, რომ „ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ დააყენოს საფრთხის ქვეშ პროფესიული საიდუმლოება“. კონფიდენციალური ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნისთვის მოცემულ საქმეზე განისაზღვრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი (დისციპლინური საქმე 085/16; 207 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება).

7.26 განხილვის კოლეგია მოცემულ შემთხვევაში, ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ადვოკატმა ზ. ი.-მ ქ. ე.-ს სახელით დაზუსტებული სარჩელის წარდგენის შემდეგ, ერთხელ განახორციელა სასამართლო წარმომადგენლობა, რის შემდგომაც, მასსა და ქ. ე.-ს შორის შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება, რომ ადვოკატ ზ. ი.-ს ქ. ე.-ს ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებამ ზიანი მიაყენა „თ. ჯ. პ. X“-ის, როგორც ყოფილი კლიენტის ინტერესებს. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური

სახდელი და მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დისციპლინური სახდელის განმსაზღვრელი რომელიმე ფაქტორი. ამ პირობებში, კოლეგიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის პროპორციული.

7.27 სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, რა მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით და ის არ უზღუდავს ადვოკატს საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებას. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

7.28 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე #063/18 ადვოკატ ზ. ი.-ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/